თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 02.08.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. ლაშა გურგენიძე, 3. იზა მაგრაქველიძე, 4. ნინო მახათაძე, 5.დავით გოგბერაშვილი, 6. ბადრი ბუცხრიკიძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ელისო მურადაშვილი, 9. ტარიელ ფანჩულიძე,

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1 . კობა კირკიტაძე, 2. კახა ბუცხრიკიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -

პროგრამის ბიუჯეტია 40 000(ორმოცი ათასი) ლარი, რამდენჯერმე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, მაგრამ არცერთჯერ არ შედგა. მხოლოდ ერთხელ და ერთი თვით მოხერხდა გამარტივებული შესყიდვით ფარმაცევტული კომპანია ,,გეფა''-სთან 5000(ხუთი ათასი) ლარიანი ხელშეკრულების გაფორმება დღეისთვის გახარჯულია მხოლოდ 5000 ლარი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დარჩენილი თანხა გადავიტანოთ სურსათით დახმარების პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარი , დღეისათვის გახარჯულია 43665 (ორმოცდასამი ათას ექვსას სამოცდახუთი) ლარი. გაზრდილი მომართვიანობის და პროგრამის წლის ბოლომდე ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარით (მედიკამენტებისთ დახმარების პროგრამიდან) და გახდეს 85 000(ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -9 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე

შალვა ჭანკვეტაძე